ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 24-68

« 13 » სექტემბერი 2016 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-65დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-65დადგენილებით (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016069) დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულებაში“ დადებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „კ” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„კ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიის” მონაცემების საფუძველზე ახდენს საკუთრების უფლების აღიარების საფასურის გაანგარიშებას და კომისიისთვის წარდგენას.”;

2. მე-6 მუხლის მე-6პუნქტს დაემატოს „ნ” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ნ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული „თვითნებურად დაკავებულ

მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიის” მონაცემების საფუძველზე ახდენს საკუთრების უფლების აღიარების საფასურის გაანგარიშებას.”.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისმერიისსაფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-65 დადგენილებაშიცვლილებისშეტანისთაობაზე”
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) პროექტის წარდგენის მიზეზი/მისი ძირითადი არსი:

,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ'' საქართველოს კანონში 2016 წლის ივნისში განხორციელებული ცვლილებებით, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილ სუბიექტად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული ,,თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია''.

აღნიშნული კომისია შეიქმნა და მისი შემადგენლობა დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 5 აგვისტოს №1-1523 ბრძანებით.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით განისაზღვრება თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასურის გაანგარიშებასა და კომისიისთვის წარდგენაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

გ) დადგენილების პროექტის ავტორი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

დ) დადგენილების პროექტის წარმდგენი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.